კონკურენტუნარიანობა განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში გლობალიზაციის პირობებში

ლევან ათუაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: Latuashvili@gmail.com

საკვანძო სიტყვები:
კონკურენცია
კონკურენტუნარიანობა
სამეწარმეო საქმიანობა
გლობალური კონკურენტუნარიანობა
ინვესტიცია
ეროვნული ეკონომიკა
წარმოება
გლობალიზაცია

რეზიუმე

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება წარმოუდგენელია კონკურენტული ბაზრის გარეშე. საბაზრო ეკონომიკის მამოძრავებელ ბერკეტს წარმოადგენს კონკურენცია და დარგის კონკურენტუნარიანობა. იგი წარმოების განვითარების და პროდუქციის ხარისხის ამაღლების ეკონომიკური ბერკეტია და საწარმოს განვითარების ერთ-ერთი ობიექტური პირობაა. კონკურენციამ როგორც საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანმა ელემენტმა XIX საუკუნის ბოლოდან მიიქცია ყურადღება, თუმცა საბაზრო მეტოქეობა უძველესი დროიდან არსებობდა და ვითარდებოდა.

თანამედროვე ეკონომიკაში ქვეყნის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვის და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის რაც მთავრობის უმთავრესი ამოცანაა.

მრავალი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მიზეზი გახდა ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია რასაც მოწმობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების და აშშ-ს მიღწეული წარმატებები.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით 2014-2015 წელს საქართველომ მხოლოდ 69-ე ადგილი დაიკავა და მდგომარეობა 3 საფეხურით გაუმჯობესდა მაგრამ საქართველო კვლავ ჩამორჩენილი ქვეყანაა.

სახელმწიფოს შეუძლია უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, განსაკუთრებით განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებში. აღნიშნული შესაძლებელია სახელმწიფოს მხრიდან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების უპირატესი დაფინანსებით, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით უპირატესად მეცნიერებატევად დარგებში, სახელმწიფო მართვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლებით. ყოველივე ზემოთაღნიშნული ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას

თანამედროვე პირობებში კონკურენცია მსოფლიო საბაზრო მეურნეობის ფუნქციონირების საფუძველს წარმოადგენს. იგი წარმოების განვითარების და პროდუქციის ხარისხის ამაღლების, მისი მომხმარებლების მოთხოვნებთან შესაბამისობის სტიმულირების ეკონომიკური ბერკეტია, საწარმოს ფუნქციონირებისა და განვითარების ერთ-ერთი ობიექტური პირობაა. სწორედ ამიტომ ნებისმიერმა ბიზნესმენმა, განურჩევლად იმისა თუ ბიზნესის რომელ სფეროში და რომელ ქვეყანაში მოქმედებს, უნდა იცოდეს, რომ გლობალურ სამყაროში ქვეყნები გახსნილები არიან და მის მიერ დამზადებული პროდუქცია საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

კონკურენცია და კონკურენციული მეტოქეობა წარმოადგენს საბაზრო მექანიზმებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ფუქნციონირების ძირითად წესს. მან როგორც საბაზრო სისტემის მნიშვნელოვანმა ელემენტმა XIX საუკუნის ბოლოდან მიიქცია ყურადღება. ამ დროიდან მრავალმა მეცნიერმა აღიარა „თავისუფალი კონკურენციის" ეკონომიკა. თუმცა, უნდა ავღნიშნოთ, რომ საბაზრო კონკურენციის ისტორია უხსოვარი დროიდან იწყება. იგი ჯერ კიდევ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების კვალობაზე, გაცვლის წარმოშობასთან ერთად აღმოცენდა და მისი განვითარების შესაბამისად იხვეწებოდა. ამ პროცესის შემდგომ განვი-

თარებას ფართო გასქანი მიეცა კაპიტალიზმის პირობებში, როცა პირადი მოხმარების საგნების და წარმოების საშუალებების მსგავსად ადამიანის სამუშაო ძალაც ყიდვა-გაყიდვის ობიექტი გახდა და ამით საქონელწარმოებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო.[1]

თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში თითოეული ქვეყნის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკის გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის დონეზე, რაც თავის მხრივ მოიცავს როგორც კონკურენტუნარიანობის ამაღლების გარკვეულ შესაძლებლობებს, ისე ეკონომიკის ცალკეულ სფეროში კონკურენტუნარიანობის დაკარგვის საფრთხეებს.

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ნებისმიერი სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა, რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნებისათვის. გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა ყველა ქვეყნისათვის იძენს უპირატეს მნიშვნელობას დასაქმებისა და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებებთან შედარებით.

ნათელია, რომ გლობალიზაციის პირობებში წარმოების ფაქტორების მხოლოდ რაოდენობრივი მხარე არ განაპირობებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკის კონკურენტული უპირატესობის უმთავრეს ფაქტორს ინდივიდის და საერთოდ, საზოგადოების განვითარების დონე წარმოადგენს. როგორც რუსი მეცნიერი ს. ემილიანოვი აღნიშნავს, „აქ საუბარია არა იმდენად რესურსებზე, არამედ, ამა თუ იმ ქვეყნის მიერ მათი გამოყენების ეფექტიანობაზე".[2] შეიძლება აღვნიშნოთ, რომ, ამა თუ იმ რესურსების ეფექტიანი გამოყენება, თავის მხრივ, გამომყენებლის ცოდნის, განათლების ფუნქციაა. ამდენად, უმთავრესი როლი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრაში ენიჭება ადამიანური კაპიტალის განვითარების დონეს, ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების გლობალიზაციის დონეს. ამრიგად, განათლების მაღალ დონეზე დაფუძნებული კონკურენტული უპირატესობა წარმოადგენს ყველაზე მდგრად და სტაბილურ უპირატესობას. რაც შეეხება, ბუნებრივ რესურსებს, მათ სულ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის განსაზღვრაში, მით უმეტეს თანამედროვე ეტაპზე, ნანოტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით. თანამედროვე ეტაპზე ფაქტორული პირობებიდან უმთავრეს, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ადამიანის განათლების დონე ანუ საზოგადოების განვითარების დონე, მისი უნარი შექმნას ახალი ტექნოლოგიები ან გამოიყენოს და განავითაროს არსებული.

თანამედროვე მსოფლიოში შედარებითი უპირატესობის კონცეფცია გარკვეულწილად კონკურენტული უპირატესობის კონცეფციით იცვლება, რაც მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულია. ამავე დროს, კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისა და შენარჩუნების პროცესში აქტიური როლი სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას ეკუთვნის. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ზეგავლენა ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ხარისხზე.

ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია გახდა მრავალი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ამის უმთავრეს მიზეზს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების მიერ მიღწეული წარმატებები წარმოადგენდა, რომლებმაც ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია აირჩიეს და შესაბამისად, საერთაშორისო არენაზე კონკურენტუნარიანობის მაღალ ხარისხს მიაღწიეს. ამ ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ისტორია ნათლად ადასტურებს, რომ ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მჭიდრო კავშირშია ეკონომიკის გახსნილობის ხარისხთან და ქვეყნის წარმოების საგარეო ორიენტაციასთან. აღსანიშნავია, რომ თვით განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაშიც, რომელიც უდიდესი გადახდისუნარიანი შიდა მოთხოვნით ხასიათდება, აღნიშნული ფაქტორი სულ უფრო ნაკლებად წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტული უპირატესობის განმსაზღვრელ ფაქტორს.

მოთხოვნა შიგა ბაზარზე სულ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია აშშ-ის ეკონომიკისთვისაც, მიუხედავად სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მშპ-ში ექსპორტის დაბალი ხვედრითი წონისა (10%). ამ უკანასკნელის ნათელი დადასტურებაა აშშ-ის კომპანიების ე. წ. "მეორე ეკონომიკა", რომელიც უპირატესად საგარეო ბაზარზე არის ორიენტირებული. ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედ-

[1] *ეკონომიკური თეორია, თბ., "სიახლე", 1998, გვ. 158-159.*

[2] *ჩიკვაიძე თ., სილაგაზე ა., ბასილია თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე? თბ., 2001, გვ. 459.*

როვე ეტაპზე მოთხოვნა შიგა ბაზარზე ნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის ამაღლების საკითხში. აღნიშნულს ასევე ადასტურებს 90-იანი წლებიდან თითქმის ყველა ეროვნული ეკონომიკის სწრაფვა ჩაერთოს რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში, რომელიც თავის მხრივ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების გზაზე, უპირველეს ყოვლისა, ბარიერების შემცირება-გაუქმებას გულისხმობს, რაც ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილე ქვეყნების მხრიდან სწორედ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ უმთავრეს დეტერმინანტად განიხილება.

გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურა და ეკონომიკის დარგების თანაფარდობა. გლობალიზაციის პირობებში, ეროვნული ეკონომიკის სტაბილური განვითარება პოსტინდუსტრიული, ინფორმაციული ეკონომიკის არსებობა-ფორმირებაზეა დამოკიდებული, რაც, თავის მხრივ, მეცნიერებატევადი დარგების უპირატეს განვითარებას ეფუძნება. აქედან გამომდინარე, ეკონომიკაში მონათესავე დარგების არსებობა მხოლოდ მაშინ უწყობს ხელს სტაბილური კონკურენტული უპირატესობის შექმნას, როცა ეს ეხმარება მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას. როგორც რუსი მეცნიერი მ. დელიაგინი აღნიშნავს: "ინფორმაციული ტექნოლოგიები უფრო ეფექტიანად აქცევენ არა რეალურად მიმდინარე პროცესების, არამედ მათი აზრის მსვლელობის მართვას, ვინც ამ პროცესებს ხელმძღვანელობს. აშშ-ს მაღალი კონკურენტუნარიანობა და მსოფლიო ლიდერობა სწორედ აქედან გამომდინარეობს".[3]

მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელიც შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში მდებარეობს, 1989 წლიდან ყოველწლიურად აქვეყნებს ეროვნული ეკონომიკების (ყველაზე კონკურენტუნარიანი 55 ქვეყანა) კონკურენტუნარიანობის რეიტინგს.[4] კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად იყენებენ 323 მაჩვენებელს, რომელიც დაჯგუფებულია კონკურენტუნარიანობის ოთხ უმთავრეს ფაქტორად. აღნიშნული ფაქტორებიდან თითოეული თავის მხრივ 4 სუბფაქტორად იყოფა. ეს ფაქტორებია: 1. ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ფასდება 79 კრიტერიუმის მიხედვით და მოიცავს შემდეგ სუბფაქტორებს: შიდა ეკონომიკა, საერთაშორისო ვაჭრობა, საერთაშორისო ინვესტიციები, დასაქმება, ფასები; 2. ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის ეფექტიანობა. ფასდება 72 კრიტერიუმის მიხედვით და მოიცავს შემდეგ სუბფაქტორებს: საჯარო ფინანსები, ფისკალური პოლიტიკა, სტრუქტურული პოლიტიკა, ბიზნესის კანონმდებლობა, სოციალური პოლიტიკა და სტრუქტურა; 3. ბიზნესის ეფექტიანობა. ფასდება 71 კრიტერიუმის მიხედვით და მოიცავს შემდეგ სუბფაქტორებს: მწარმოებლურობა, შრომის ბაზარი, ფინანსები, მენეჯმენტი, გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობის ხარისხი და 4. ინფრასტრუქტურის განვითარების დონე. ფასდება 101 კრიტერიუმის მიხედვით და მოიცავს შემდეგ სუბფაქტორებს: ძირითადი ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, სამეცნიერო ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვა და გარემოს მდგომარეობა, განათლება.

აღსანიშნავია, რომ ერთადერთი ეროვნული ეკონომიკა, რომელიც ბოლო 15 წლის განმავლობაში ინარჩუნებს მოწინავე პოზიციას, არის აშშ.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით 2014-2015 წელს საქართველომ მხოლოდ 69-ე ადგილი დაიკავა.

ამ ანგარიშში მოცემული ინფორმაციით საქართველო მეტად ჩამორჩენილი ქვეყანაა. ეს უნდა გაითვალისწინოს როგორც საქართველოს მთავრობამ, ისე ცალკეული სამეურნეო ერთეულების ხელმძღვანელებმა, მათ უნდა გაითვისონ, რომ სანამ არ დააკმაყოფილებენ მსოფლიო ბაზრის უმკაცრეს მოთხოვნებს, ისინი ვერ გახდებიან გლობალურ ბაზარზე კონკურენტუნარიანი.

სახელმწიფოს შეუძლია უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, განსაკუთრებით განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებში. გლობალურ ეკონომიკაში სრულყოფილი მონაწილეობა დამოკიდებულია ცალკეულ ქვეყანაში პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირებაზე. აქედან გამომდინარე, გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის სულ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება კონკურენტუნარიანობის კლასიკურ ფაქტორებს. აღნიშნულ ქვეყნებში კონკურენტუნარიანობის ამაღლების საკითხში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწი-

[3] *Делягин М. Информационная революция,глобализация и кризис мировой экономики. Ж. Проблемы теории и практики управления, 2001, №1.*

[4] *www.imd.ch*

ფოს ხელშემწყობ როლს. აღნიშნული მტკიცდება იმ გარემოებით, რომ უდიდესი დანახარჯები, რომელსაც მოითხოვს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, აუცილებელია სახელმწიფომ იტვირთოს. აღნიშნულ ქვეყნებში სახელმწიფო არის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელსაც მიზანმიმართული პოლიტიკით შეუძლია ეკონომიკის განვითარების დონის ამაღლება, რაც იძლევა არა მარტო მსოფლიო სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების გამოყენების შესაძლებლობას, არამედ, იმის საფუძველსაც, რომ ამ ქვეყნებში შესაძლებელი იქნება ახალი ტექნოლოგიების გამოგონება. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, მეცნიერებატევადი წარმოება, რომელსაც ყველა სხვა სახის წარმოებასთან შედარებით დიფერენციაციის უდიდესი უნარი გააჩნია, ქვეყნებს, რომლებსაც საშუალო დონის სამეცნიერო-ტექნიკური პერსონალი აქვს (გარდამავალი ქვეყნების უმრავლესობა სწორედ ასეთი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება) უტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ განავითარონ ახალი ტექნოლოგიები. მეცნიერებატევადი წარმოება, ინფორმაციული და ნანოტექნოლოგიები არის ის დარგი, რომლებშიც წარმატება უზრუნველყოფს ცალკეული ქვეყნის მდგრად კონკურენტულ უპირატესობას. აღნიშნული შესაძლებელია სახელმწიფოს მხრიდან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების უპირატესი დაფინანსებით, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით უპირატესად მეცნიერებატევად დარგებში, სახელმწიფო მართვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლებით და ა. შ. ყოველივე ზემოთაღნიშნული ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ისე საზოგადოების ინტელექტის მიხედვით სტრატიფიკაციას, რომელიც პოსტინდიუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია.

საბოლოო ანგარიშით შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ქვეყნის, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის საფუძველს მისი მოქალაქეების, საერთოდ საზოგადოების განვითარების მაღალი დონე წარმოადგენს. როგორც ქართველი მეცნიერები აღნიშნავენ, თანამედროვე ეტაპზე "ინტენსიურად ვითარდება კრიტიკული ტექნოლოგიები, რომლებიც სრულიად ახალ ეკონომიკას და ცხოვრების წესს ამკვიდრებს ინფორმატიკის, კომუნიკაციების და წარმოების სფეროში: პროგამული უზრუნველყოფა, მიკროელექტრონიკა და ოპტოელექტრონიკა, მაღალმწარმოებლური ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები და კომპიუტერული ქსელები... დამმუშავებელი მოწყობილობა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, მიკრო და ნანოტექნოლოგიები, რთული სისტემების ტექნოლოგიები".[5]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *ეკონომიკური თეორია, თბ., "სიახლე", 1998*
2. *ჩიკვაიძე თ., სილაგაზე ა., ბასილია თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე? თბ., 2001*
3. *Делягин М. Информационная революция, глобализация и кризис мировой экономики. Ж. Проблемы теории и практики управления, 2001, №1.*
4. *www.imd.ch*
5. *ჩიკვაიძე თ., სილაგაძე ა., ბასილია თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე? თბ., 2001.*

REFERENCES:

1. Economical Theory, Tbilisi, "Innovation" 1998
2. Chikvadze T; Silagadze A; Basilaia T. Postsocial Transformation: Georgian Economic at the boundary of the XXI century, Tbilisi.
3. Dzeliagin M. Informational Revolution, Globalization and Crisis, of the World Economic, J. Theory of problems and administration practice, 2001, #1
4. Web site: www.imd.ch
5. Chikvadze T; Silagadze A; Basilaia T. Postsocial Transformation: Georgian Economic at the boundary of the XXI century, Tbilisi. 2001.

[5] *ჩიკვაიძე თ., სილაგაძე ა., ბასილია თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე? თბ., 2001, გვ. 459.*

COMPETITIVENESS IN THE DEVELOPING AND TRANSITIONAL ECONOMICS COUNTRIES IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION

LEVAN ATUASHVILI
PhD student of GTU
E-mail: Latuashvili@gmail.com

Summary

It is inconceivable to develop a country without competitive market. The motive lever of an economic market is competitive and a competitive field. It is a development of a production and it is an economical lever of quality of products and also it is one of the objective condition of manufacture development. Competitive as a main element of an economic market has been noticed since the end of the XIX century, however, market competition was existed from the ancient period.

In the modern economics competitiveness of the country is a main part to invest money and for a country development, which is the main goal of the government.

The main reason of countries development is a strategy which is focused on export. There are developed countries like south - East Asia countries and the USA, their success is good examples.

According to the index of the global competitiveness Georgia got solely the 69th place in 2014-2015 years and the situation got better with 3 steps, but Georgia still is not a developed country.

The government can play an important role in the development of competitiveness, especially in developing and transitional countries. It can be carried out if government finance scientific-research work, also they can bring foreign investors especially in the scientific field, in addition to develop government managing system. All above mentioned supports to develop national economic competitiveness.